თავი XVIII

მერქნული რესურსის საკუთრებაში და ტყის სპეციალურ სარგებლობაში გაცემის წესი

მუხლი 79. ელექტრონული აუქციონის გამოცხადების წესი

1. ელექტრონული აუქციონი შეიძლება გამოცხადდეს:

ა) ტყით სპეციალური სარგებლობის განხორციელების მიზნით სახელმწიფო ტყის ფართობის გაცემის შემთხვევაში – ტყის მართვის ორგანოს ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ტყის მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

ბ) მერქნული რესურსის, ტყის მართვის ორგანოს მიერ დამზადებული ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტების, ხის მეორეხარისხოვანი მასალების საკუთრებაში გაცემისა და ხეტყის დამზადების მიზნით სახელმწიფო ტყით სპეციალურ სარგებლობის შემთხვევაში – ტყის მართვის ორგანოს ინიციატივით.

2. ტყითსარგებლობის უფლების მიღებით დაინტერესებული პირის წერილობით განცხადებას, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, თან უნდა დაერთოს:

ა) ინფორმაცია განსახორციელებელი საქმიანობის (სარგებლობის სახის) შესახებ ტყის მართვის ორგანოს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (გარდა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების მიზნით ტყითსარგებლობის შემთხვევისა);

ბ) ტყითსრგებლობაში მოთხოვნილი ფართობის საკადასტრო აზომვითი ნახაზი და შესაბამისი Shp-ფაილი.

3. ელექტრონული აუქციონის ჩატარების მიზანია, ტყითსარგებლობის (მათ შორის, ხეტყის დამზადების მიზნით სახელმწიფო ტყით სპეციალური სარგებლობის), მერქნული რესურსის, მერქნული რესურსის პროდუქტების, ტყის არამერნული რესურსების, ხის მეორეხარისხოვანი მასალების საკუთრების უფლება მიანიჭოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ელექტრონული ვაჭრობის პროცესში ყველაზე მაღალ ფასს დააფიქსირებს, ხოლო თუ ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა პირობებით, სარგებლობის ან საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ პირს, რომელიც გამოცხადებული პირობების გათვალისწინებით ვაჭრობის პროცესში ყველაზე მაღალ ფასს დააფიქსირებს.

4. ელექტრონული აუქციონი ცხადდება ტყის მართვის ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით.

5. ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება ტყის მართვის ორგანოს ინტერნეტგვერდზე ან/და ინტერნეტ გვერდზე – www.eauction.ge

6. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) აუქციონის გამომცხადებელი ორგანოს დასახელებას;

ბ) ქონების დასახელებას, ადგილმდებარეობას და ზოგად მონაცემებს (ტყითსარგებლობის უფლების გაცემის შემთხვევაში) ან მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემის შემთხვევაში, მერქნული რესურსის სახეობას, ადგილმდებარეობასა და მოცულობას, მრგვალი ხეტყის (მორის) შემთხვევაში, მის სიგრძეს, წვრილი და მსხვილი თავების დიამეტრებს, მითითებას ხარისხის შესახებ (მერქნული რესურსის დახარისხების შემთხვევაში), ფირნიშის მონაცემებს;

ბ[1]. ხეტყის დამზადების მიზნით ჩატარებული აუქციონის შემთხვევაში, ასევე მერქნიანი მცენარეების დასამზადებელი რესურსის (ხეტყის) სახეობის, მოცულობის, ჭრის სახისა და დამზადების ვადის, სარგებლობის სხვა კონკრეტული წესების, ტყის მართვის ორგანოს მიერ გამოყოფილი და მერქნული რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ტყეკაფის ფართობისა და მისი საზღვრების, ხეტყის დამზადების ადგილმდებარეობის (სატყეო, კვარტალი, ლიტერი, სიმაღლე ზღვის დონიდან, სატყე-საგზაო ინფრასტრუქტურის და სხვ.) შესახებ და ტყის მართვის ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა მონაცემებს;

გ) მერქნული რესურსის პროდუქტების საკუთრებაში გაცემის შემთხვევაში, პროდუქტის სახეობას, ადგილმდებარეობასა და რაოდენობას, ხოლო ტყის არამერქნული რესურსების, ასევე ხის მეორეხარისხოვანი მასალების, საკუთრებაში გაცემის შემთხვევაში, პროდუქტის სახეობას, ადგილმდებარეობასა და საორიენტაციო მოცულობას;

დ) აუქციონის დაწყებისა და დასრულების დროს, რომელსაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს აუქციონის გამომცხადებელი;

ე) ტყითსარგებლობის უფლების ან საკუთრების უფლებით გასაცემი მერქნული რესურსის, მერქნული რესურსის პროდუქტების, ტყის არამერქნული რესურსების, ხის მეორეხარისხოვანი მასალების აუქციონის საწყის ფასს;

ვ) მერქნული რესურსის გაცემის შემთხვევაში – ტყის მართვის ორგანოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობას;

ზ) ტყითსარგებლობის უფლების გაცემის შემთხვევაში – სარგებლობის ვადას, სარგებლობის კონკრეტული სახისათვის კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებსა;

თ) ბე-ს თანხის ოდენობას;

ი) აუქციონის ჩატარების პირობებს;

კ) ტყითსარგებლობის უფლების მოქმედების ვადას;

ლ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც აუქციონის გამომცხადებელი ორგანო ჩათვლის საჭიროდ.

7. აუქციონში მონაწილეს უფლება აქვს, აუქციონზე გამოტანილი ქონების შესახებ მიიღოს მისთვის საჭირო, ტყის მართვის ორგანოს ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია.

მუხლი 80. ტყის მართვის ორგანოს მიერ სამეურნეო, მოვლითი, სანიტარიული და სარეკონტუქციო ჭრების ფარგლებში დამზადებულ მერქნულ რესურსზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების წესი

1. ტყის მართვის ორგანოს მიერ სამეურნეო, მოვლითი სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრების ფარგლებში დამზადებულ მერქნულ რესურსზე ელექტრონული აუქციონი ცხადდება ტყის მართვის ორგანოს უფროსის ბრძანებით.

2. ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება ტყის მართვის ორგანოს ინტერნეტგვერდსა და ინტერნეტგვერდზე – www.eauction.ge.

3. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) აუქციონის გამომცხადებლის დასახელებას;

ბ) მერქნული რესურსის სახეობას, ადგილმდებარეობასა და მოცულობას, მრგვალი ხეტყის (მორის) შემთხვევაში – მის ხარისხს, სიგრძეს, წვრილი და მსხვილი თავების დიამეტრებს, ფირნიშის მონაცემებს;

გ) აუქციონის დაწყებისა და დასრულების დროს, რომელსაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს ტყის მართვის ორგანო;

დ) საკუთრების უფლებით გასაცემი მერქნული რესურსის აუქციონის საწყის ფასს;

ე) ბეს ოდენობას;

ვ) აუქციონის ჩატარების პირობებს;

ზ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც აუქციონის გამომცხადებელი ორგანო ჩათვლის საჭიროდ.

4. აუქციონში მონაწილეს უფლება აქვს, აუქციონზე გამოტანილი ქონების შესახებ მიიღოს მისთვის საჭირო, ტყის მართვის ორგანოს ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია.

5. ტყის მართვის ორგანოს მიერ განხორციელებული სამეურნეო, მოვლითი, სანიტარიული და სარეკონტრუქციო ჭრების ფარგლებში დამზადებულ მერქნულ რესურსზე ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის პირობები განისაზღვრება ამ წესის 82-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 82. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის პირობები

1. ელექტრონული (ინტერნეტ) აუქციონი ტარდება გამოცხადების დღიდან ტყის მართვის ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის განმავლობაშიც დაინტერესებულ პირებს, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას ელექტრონულად, საშუალება ეძლევათ, გააკეთონ სასურველ ფასზე შეთავაზება საწყის საფასურზე ბიჯის დამატებით.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) შესაბამის ელექტრონულ ვებგვერდზე დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური და იურიდიული პირები, ისე სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები ან მათი კანონიერი წარმომადგენლები);

ბ) რეგისტრაციის დროს ინტერნეტაუქციონის წესების გაცნობა და მასზე თანხმობის გაცხადება;

გ) ფიზიკური პირის დარეგისტრირება სახელით, გვარითა და პირადი ნომრით;

დ) იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის, რომელიც არ არის იურიდიული პირი, დარეგისტრირება სახელწოდებითა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მიხედვით საიდენტიფიკაციო ნომრით ან შესაბამისი ქვეყნის იურიდიული პირის მარეგისტრირებელი ორგანოს შესაბამისი კოდით;

ე) ინტერნეტბანკინგის საშუალებით, ასევე საბანკო დაწესებულების მეშვეობით ბე-ს თანხის გადახდა.

3. ბე-ს ოდენობა განისაზღვრება ელექტრონული აუქციონის საწყისი ფასის 20%-ის ოდენობით.

4. თუ მონაწილე ელექტრონულ აუქციონში ვერ გაიმარჯვებს, მას ბე უკან უბრუნდება, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში – ბე-ს თანხა ითვლება აუქციონის საბოლოო/შეთავაზებულ ფასში.

5. ბე უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, თუ:

ა) მონაწილე არ მიიღებს მონაწილეობას ვაჭრობაში;

ბ) გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ელექტრონულ აუქციონზე თავის მიერ დასახელებულ თანხას;

გ) აუქციონში გამარჯვებული პირი არ გააფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას.

6. მონაწილეს შეიძლება უარი ეთქვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობაზე, თუ:

ა) განაცხადის წარმდგენი პირი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ შეიძლება ცნობილ იქნეს სარგებლობის ან/და საკუთრების უფლების მიმღებად;

ბ) დარღვეულია ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

მუხლი 83. ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი

1. ელექტრონულ აუქციონს ატარებს შესაბამისი ტყის მართვის ორგანო. ტყის მართვის ორგანო უფლებამოსილია, ელექტრონული აუქციონი ჩაატაროს აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული საგენტოს მეშვეობით.

2. აუქციონში მონაწილე ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირდება შესაბამის ვებგვერდზე, ამ წესის შესაბამისად, რის შედეგადაც მას ენიჭება აუქციონში მონაწილის სტატუსი.

3. ელექტრონულ აუქციონში ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინრეჟიმში.

4. ელექტრონულ აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი ფასის გამოცხადების მომენტი.

5. ტყის მართვის ორგანოს მიერ დამზადებული მერქნული რესურსის, მერქნული რესურსის პროდუქტების, ტყის არამერქნული რესურსების, ასევე ხის მეორეხარისხოვანი მასალების საკუთრებაში გაცემის მიზნით გამართული ელექტრონული აუქციონის საწყისი საორიენტაციო ფასი ყოველწლიურად დგინდება სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების/დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

6. აუქციონს დაქვემდებარებული ტყით სპეციალური სარგებლობის (გარდა ამავე მუხლში მითითებული გამონაკლისებისა) უფლებით გაცემის მიზნით ტყითსარგებლობის ობიექტის წლიური საიჯარო ქირის ღირებულება დგინდება ამ წესის დანართი №10-ით განსაზღვრული ფასების ცხრილის მიხედვით, რომელიც აიღება გამოსაცხადებელი აუქციონის წლიურ საწყის ფასად. ამავე მუხლის ამავე პუნქტით განსაზღვრული ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით გაცემის მიზნით პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, აუქციონის წლიური საწყისი ფასი შესაძლებელია განისაზღვროს ამავე წესით დადგენილ ფასზე ნაკლები ოდენობით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული წესიდან გამონაკლისია:

ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსებისათვის გამართული აუქციონი, რომლის წლიური საწყისი ფასი შეადგენს 8 000 ლარს 1 ჰექტარამდე, ხოლო 1 ჰექტარზე მეტი ფართობის მოთხოვნის შემთხვევაში, ფასი განისაზღვრება ყოველ მომდევნო კვადრატულ მეტრზე 0,8 ლარის ოდენობით;

ბ) საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებით ტყითსარგებლობა, რომლის საფასური დგინდება სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების/დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომლის მომსახურების საფასურსაც იხდის ტყის მართვის ორგანო;

გ) ხეტყის დამზადების მიზნით ჩატარებული აუქციონის საწყისი ფასი, რომელიც ყოველწლიურად დგინდება სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომლის მომსახურების საფასურსაც იხდის ტყის მართვის ორგანო.

8. ტყის მართვის ორგანოს მიერ დამზადებული მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემის მიზნით გამართული ელექტრონული აუქციონის საწყისი საორიენტაციო ფასი ყოველწლიურად დგინდება სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

9. აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინრეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის დამატებას), რომელიც ასევე ფიქსირდება ონლაინრეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება მანამ, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ტყითსარგებლობის უფლება, მერქნულ რესურსსა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტებზე, ასევე ფესვსა და ძირკვზე საკუთრების უფლება მიენიჭება მონაწილეს, რომელიც ონლაინრეჟიმში ვაჭრობის დასრულების მომენტისათვის შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს.

10. ვაჭრობის დასრულებისას გამარჯვებულსა და დამარცხებულს ელექტრონული გზით გაეგზავნებათ ინფორმაცია აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

11. აუქციონში გამარჯვებულს ელექტრონული გზით ეცნობება თანხის სრული გადახდის თარიღი და სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობები, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

მუხლი 84. გარიგებათა გაფორმების წესი

1. ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით გაცემის მიზნით გამართული ელექტრონული აუქციონის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში (ხეტყის დამზადების მიზნით ჩატარებული აუქციონის შემთხვევაში, 10 დღის ვადაში) აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემთხვევაში ფორმდება ტყითსარგებლობის ხელშეკრულება. ხოლო მერქნული რესურსის, მერქნული მცენარეების პროდუქტების, ტყის არამერქნული რესურსების, ხის მეორეხარისხოვანი მასალების, საკუთრებაში გაცემის მიზნით გამართული ელექტრონული აუქციონის დამთავრებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემთხვევაში ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება და გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცემა მერქნიანი მცენარეების პროდუქტები, ტყის არამერქნული რესურსები, ხის მეორეხარისხოვანი მასალები.

2. ხეტყის დამზადების მიზნით ჩატარებული აუქციონის დამთავრებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდის დამადასტურებელი ქვითრისა და საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში ფორმდება ტყითსარგებლობის ხელშეკრულება.

მუხლი 85. ელექტრონული აუქციონის ჩაშლა

ელექტრონული აუქციონი ავტომატურად ითვლება ჩაშლილად, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონზე ვერ განხორციელდა ქონების რეალიზაცია;

ბ) ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის აუქციონზე თავის მიერ დასახელებულ თანხას;

გ) დაირღვა კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

მუხლი 86. ანგარიშსწორების წესი

1. ტყის სპეციალურ სარგებლობაში გაცემის მიზნით გამართულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში აუქციონში გამარჯვებულმა ტყის მართვის ორგანოს მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება თავის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო/შეთავაზებულ ფასს.

1[1]. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების მიზნით გამართულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ტყის მართვის ორგანოს მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს თავის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო/შეთავაზებული ფასის არანაკლებ 25%, ხოლო ტყითსარგებლობის წლიური საფასურის დარჩენილი ოდენობა გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

2. ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით გამართულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული მეორე და შემდგომი წლების ტყითსარგებლობის წლიურ საფასურს (აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი) იხდის ყოველი მომდევნო წლის დადგომამდე, თუ სააუქციონო პირობებით ან/და ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ანგარიშსწორების წესის დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი ვალდებულია, დარღვევის დღიდან ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 1%-ის ოდენობით, ტყის მართვის ორგანოს ანგარიშზე.

4. ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში ჭრის ან/და ისეთი ჭრების განხორციელებისას, რომლის დროსაც მერქნული რესურსი უნდა ჩაბარდეს ტყის მართვის ორგანოს, ასევე მართვის ორგანოს მიერ განხორციელებული მოვლითი, სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრებით მიღებული მერქნული რესურსის შემთხვევაში, მერქნული რესურსის საკუთრების უფლებით გაცემის მიზნით გამართულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, ტყის მართვის ორგანოს ანგარიშზე ჩარიცხოს მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული საბოლოო ფასი, საიდანაც მართვის ორგანო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში) მოსაკრებლის გადახდას, ხოლო დარჩენილი თანხა წარმოადგენს მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროს.

4[1]. დაცულ ტერიტორიებზე (გარდა დაცული ტერიტორიების იმ კატეგორიებისა და ზონებისა, სადაც კანონმდებლობით აკრძალულია ტყითსარგებლობა) ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში სპეციალური სარგებლობის ჭრის ან/და ისეთი ჭრების განხორციელებისას, რომლის დროსაც მერქნული რესურსი უნდა ჩაჰბარდეს ტყის მართვის ორგანოს, ასევე მართვის ორგანოს მიერ განხორციელებული მოვლითი, სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრებით მიღებული მერქნული რესურსის შემთხვევაში, მერქნული რესურსის საკუთრების უფლებით გაცემის მიზნით გამართულ ელექტრონულ აუქციონში, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა ტყის მართვის ორგანოს ანგარიშზე ჩარიცხოს მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული საბოლოო ფასი, საიდანაც მართვის ორგანო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოსაკრებლის გადახდას, ხოლო დარჩენილი თანხა წარმოადგენს მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროს.

„4[2]. ხეტყის დამზადების მიზნით ჩატარებულ აუქციონში გამარჯვებული პირის გამოვლენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ტყის მართვის ორგანოს მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე

დასახელებულ საბოლოო/შეთავაზებულ ფასს, ტყის მართვის ორგანოს მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ერთჯერადი სრული გადახდით, ან ნაწილობრივი გადახდის შემთხვევაში, საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის უზრუნველყოფით. ანაზღაურების წესი განისაზღვრება აუქციონის პირობებითა და ტყითსარგებლობის ხელშეკრულებით. მიღებული ტყითსარგებლობის საფასური წარმოადგენს ტყის მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროს.

5. (ამოღებულია - 16.05.2022, №250) .

6. ამ წესის 81-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადახდილი უნდა იქნეს №8 დანართით დადგენილი ფასი, რაც წარმოადგენს ტყის მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმავე პუნქტით განსაზღვრული სუბიექტების მიერ თანხა გადახდილი უნდა იქნეს ხელშეკრულებით (ნასყიდობის ან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება) გათვალისწინებულ საბანკო ანგარიშზე და ხელშეკრულებით (ნასყიდობის ან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება) გათვალისწინებულ ვადებში.

8. ამ წესის 81-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, იმავე მუხლით განსაზღვრული სუბიექტებისათვის მრგვალი ხეტყის (მორის) პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში, მერქნული რესურსისათვის გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ ყოველწლიურად შედგენილი შესაბამისი დასკვნით დადგენილი ფასი, რაც წარმოადგენს ტყის მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროს. აღნიშნული თანხიდან I-II ხარისხის მრგვალი ხეტყისათვის (მორისათვის) ტყის მართვის ორგანო უზრუნველყოფს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილი ცხრილის მიხედვით ტყის მერქნიან სახეობათა შესაბამისი ჯგუფის II კატეგორიისათვის დადგენილი მოსაკრებლის, ხოლო III-IV ხარისხის მრგვალი ხეტყისათვის (მორისათვის) – იმავე ცხრილის შესაბამისი ჯგუფის III კატეგორიისათვის დადგენილი მოსაკრებლის გადახდას შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში) მერქნული რესურსის საკუთრებაში გადაცემამდე.

9. პირდაპირი მიყიდვის ფორმით, მოსახლეობისათვის სამეურნეო მიზნებისათვის ბოძის, სარის, ჭიგოს საკუთრებაში გაცემის შემთხვევებში გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ ყოველწლიურად შედგენილი შესაბამისი დასკვნით განსაზღვრული საფასური, რაც წარმოადგენს ტყის მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროს. ამასთან, ბოძის გაცემის შემთხვევაში გადახდილი თანხიდან ტყის მართვის ორგანო უზრუნველყოფს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილი ცხრილის მიხედვით ტყის მერქნიან სახეობათა შესაბამისი ჯგუფის IV კატეგორიისათვის დადგენილი მოსაკრებლის გადახდას შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში) მერქნული რესურსის საკუთრებაში გადაცემამდე.

10. ტყის მართვის ორგანოს მიერ გამოყოფილ სპეციალურ ადგილას დაქუცმაცებული ან დაუქუცმაცებელი სახით დასაწყობებული ან ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყიდან გამოტანილი ხეტყის ნარჩენის საკუთრებაში გადაცემისათვის გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ ყოველწლიურად შედგენილი შესაბამისი დასკვნით დადგენილი საფასური, ხოლო სარისთვის, ჭიგოსა და ბოძისათვის გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ ყოველწლიურად შედგენილი შესაბამისი დასკვნით განსაზღვრული საფასური, რაც წარმოადგენს ტყის მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროს. ამასთან, გადახდილი თანხიდან ტყის მართვის ორგანო უზრუნველყოფს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილი

ცხრილის ტყის მერქნიან სახეობათა შესაბამისი ჯგუფის III კატეგორიისათვის დადგენილი მოსაკრებლის გადახდას შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში) მერქნული რესურსის საკუთრებაში გადაცემამდე.

11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად აუქციონში გამარჯვებულის მიერ ჩარიცხული თანხებიდან სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტო უზრუნველყოფს ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისა და სპეციალური ფირნიშებით მარკირებისათვის დაწესებული მომსახურების საფასურის თანხის თავის ანგარიშზე ჩარიცხვას, ხოლო აუქციონზე შეთავაზებული ფასის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხვას.

12. მერქნული რესურსის პროდუქტების, ტყის არამერქნული რესურსების, ასევე ხის მეორეხარისხოვანი მასალების საკუთრების უფლებით გაცემის მიზნით გამართულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, ტყის მართვის ორგანოს მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხოს მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული საბოლოო ფასი, რაც წარმოადგენს ტყის მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროს.